№32 2016 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

ქ. სალუქვაძისათვის და გ. ჯალაღონიასთვის „საქართველოს მთავრობასა და სინგაპურის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს **ქეთევან სალუქვაძეს** და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს **გურამ ჯალაღონიას** მიენიჭოთ „საქართველოს მთავრობასა და სინგაპურის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი